# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №46

ქ. თბილისი 24 იანვარი 2020 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2 შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსს“ (მდებარე ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. №5 შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს 2 (ორი) ერთეული ავტომანქანა „ფოლქსვაგენ-ტრანსპორტერის“ ტექნიკურ მომსახურებას (ავტომანქანების მიმდინარე რემონტი და სათადარიგო ნაწილები) ხელშეკრულებაზე თანდართული ჩამონათვალის, რაოდენობისა და ფასების მიხედვით (დანართი №1) „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად (კლასიფიკატორის კოდი 50110000).

## მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 8 000 (რვა ათასი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით.

## მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევა ხდება „მიმწოდებლის“ მიერ ეტაპობრივად, 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად „მიმწოდებლის“ მისამართზე.

## მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

4.2 „მიმწოდებელმა“ მომსახურების გაწევის შემდეგ „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტი - საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

## მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ მომსახურების გაწევისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## მუხლი 6. გარანტია

6.1 „მიმწოდებელი“ იძლევა მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების აღნიშნულ სფეროში არსებული სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს მიწოდებული უხარისხო საქონლისა და უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6.3 „მიმწოდებლის“ მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით „მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხიდან.

## მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოწოდების ვადების შემოწმების გზით;

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენლები:

1) ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი – ზაზა ნიკოლეიშვილი;

2) ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი – გოჩა რუსიშვილი;

3) ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი – ვახტანგ ფხაკაძე.

## მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.3.1. შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-15[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების დადების შემდეგ პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება „შემსყიდველი“ ორგანიზაციისა და „მიმწოდებლის“ შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს;

9.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს სრული ან ნაწილობრივი მომსახურება;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

12.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.5 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

### მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 24 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

### მუხლი 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი":

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2

საქართველოს სახელმწიფო ხაზინა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის – 4001
ა/ა №GE24NB0330100200165022
კოდი TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი - 203840344

„შემსყიდველის" სახელით:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ილია ტარასაშვილი

„მიმწოდებელი":

შპს „თეგეტა მოტორსი"

ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. №5

სს „თიბისი ბანკი"

ა/ა №GE80TB0600000024467853
კოდი TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი - 202177205

„მიმწოდებლის" სახელით:

შპს „თეგეტა მოტორსის" სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

ჟორა რუხაძე

Digitally signed by
special state protection
service of georgia

Tegeta Motors LLC
2020.01.24 18:02:07 +04'00'

## ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ შპს „თეგეტა მოტორსთან“ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე — ილია ტარასაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის
ტრანსპორტის სამმართველოს
უფროსი — ზაზა ნიკოლეიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის
სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან
საქმეთა ინსპექტორი — გოჩა რუსიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის
სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან
საქმეთა ინსპექტორი — ვახტანგ ფხაკაძე

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს უფროსის მოადგილე — ვასილ მეგრელიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი — თამარ რამაზაშვილი

დანართი

| № | ა/მ დასახელება | სახ№ | საიდენ№ | გამოშვების წელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფოლქსვაგენ-ტრანსპორტერი | CC-536-GG | WV2ZZZ7HZGH125672 | 2016 |
| 2 | ფოლქსვაგენ-ტრანსპორტერი | CC-538-GG | WV2ZZZ7HZGH125489 | 2016 |

| VW Transporter 2.0 2014-2015 | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ნაწილის/მომსახურების დასახელება | განზომილება | ნაწილის ფასი | მომსახურების ფასი |
| 1 | ამორტიზატორი უკანა | ც | 130,00 | 40,00 |
| 2 | ამორტიზატორი წინა | ც | 220,00 | 50,00 |
| 3 | ამორტიზატორის ბალიში წინა | ც | 39,00 | 50,00 |
| 4 | ამორტიზატორის ზამბარა წინა | ც | 180,00 | 50,00 |
| 5 | ამორტიზატორის მტვერდამცავი | ც | 11,50 | 50,00 |
| 6 | ამორტიზატორის საკისარი წინა | ც | 35,00 | 50,00 |
| 7 | ბურთულა თითი | ც | 62,00 | 25,00 |
| 8 | გადაცემათა კოლოფის ბალიში | ც | 150,00 | 30,00 |
| 9 | გამანაწილებელი კოლოფის უკანა ჩობალი | ც | 17,00 | 30,00 |
| 10 | დაკიდების ბერკეტი ქვედა | ც | 830,00 | 36,00 |
| 11 | დაკიდების ბერკეტის მილისა უკანა | ც | 23,00 | 50,00 |
| 12 | დაკიდების ბერკეტის მილისა წინა | ც | 23,00 | 36,00 |
| 13 | დამწოლი დისკი უკანა | ც | 118,00 | 35,00 |
| 14 | დამწოლი დისკი წინა | ც | 142,00 | 35,00 |
| 15 | დისკის დამჭერი ბოლტი | ც | 15,00 | 5,00 |
| 16 | ამორტიზატორის ზამბარა უკანა | ც | 180,00 | 40,00 |
| 17 | ზამბარის ბალიში ზედა უკანა | ც | 50,00 | 40,00 |
| 18 | ზამბარის ბალიში ქვედა უკანა | ც | 19,00 | 40,00 |
| 19 | მორგვის საკისარი უკანა (კომპლექტი) | კომპ | 250,00 | 165,00 |
| 20 | მორგვის საკისარი წინა (კომპლექტი) | კომპ | 250,00 | 70,00 |
| 21 | მუხლა ლილვის სენსორი | ც | 80,00 | 65,00 |
| 22 | რედუქტორის ჩობალი | ც | 60,00 | 40,00 |
| 23 | სამუხრუჭე სითხე | ლ | 13,00 | 26,00 |
| 24 | საჭის მექანიზმი | ც | 3 400,00 | 200,00 |
| 25 | სტაბილიზატორი წინა | ც | 420,00 | 30,00 |
| 26 | სტაბილიზატორის კრონშტეინი წინა | ც | 40,00 | 15,00 |
| 27 | წინა სტაბილიზატორის  მილისა | ც | 12,00 | 10,00 |
| 28 | უკანა სტაბილიზატორის გარეთა მილისა | ც | 7,00 | 10,00 |
| 29 | უკანა სტაბილიზატორის შუა მილისა | ც | 8,70 | 10,00 |
| 30 | ყუმბარა გარეთა (მარჯვენა/მარცხენა) | ც | 1 500,00 | 60,00 |
| 31 | ყუმბარა კომპლექტში მარცხენა | კომპ | 2 400,00 | 80,00 |
| 32 | ყუმბარა კომპლექტში მარჯვენა | კომპ | 2 400,00 | 80,00 |
| 33 | ყუმბარა შიდა მარცხენა | ც | 960,00 | 60,00 |
| 34 | ყუმბარა შიდა მარჯვენა | ც | 960,00 | 60,00 |
| 35 | ყუმბარის მტვერდამცავი შიდა | ც | 50,00 | 60,00 |
| 36 | ყუმბარის მტვერდამცავი | ც | 45,00 | 60,00 |
| 37 | გადაბმულობის მთავარი ცილინდრი | ც | 130,00 | 100,00 |
| 38 | ძრავის ბალიში (უკანა) | ც | 190,00 | 60,00 |
| 39 | წევა შიგნითა | ც | 50,00 | 15,00 |
| 40 | წევის დაბოლოება | ც | 80,00 | 15,00 |
| 41 | წევის დაბოლოება კომპლექტი მარცხენა | კომპ | 130,00 | 15,00 |
| 42 | წევის დაბოლოება კომპლექტი მარჯვენა | კომპ | 130,00 | 15,00 |
| 43 | წერო | ც | 1 100,00 | 45,00 |
| 44 | ხელის მუხრუჭის ბაგირი | ც | 95,00 | 30,00 |
| ძრავი | | | | |
| 1 | გენერატორის შკივი (დინამოს) | ც | 90,00 | 200,00 |
| 2 | ვაკუუმის ტუმბოს საფენი | ც | 40,00 | 220,00 |

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D.AGHMASHENEBELI ALLEY,
0131 TBILISI, GEORGIA. ID: 202177205
გაყიდვების დეპარტამენტი
SALES DEPARTMENT

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | ზეთის ნასოსი | ც | 700,00 | 300,00 |
| 4 | ზეთის რადიატორი | ც | 350,00 | |
| 5 | ზეთის ფილტრის მოწყობილობა | ც | 950,00 | |
| 6 | ზეთის შუპი | ც | 35,00 | - |
| 7 | თერმოსტატი | ც | 130,00 | 70,00 |
| 8 | კარტერი | ც | 500,00 | 300,00 |
| 9 | კონდენციონერის კომპრესორი | ც | 2 300,00 | 80,00 |
| 10 | კონდეციონერის სისტემის გამორეცხვა | მომს | | 430,00 |
| 11 | კონდიციონერის კომპრესორის  ზეთი გრ | გრ | | 25,00 |
| 12 | მასრის საფენი | ც | 130,00 | 1 300,00 |
| 13 | მუხლა ლილვის კბილანას ქურო | ც | 220,00 | 1 300,00 |
| 14 | საჭის გამაძლიერებლის შკივი | ც | 55,00 | 60,00 |
| 15 | საწვავის გამანაწილებელი ტრუბკა | ც | 150,00 | 45,00 |
| 16 | ტურბოს შლანგი | ც | 275,00 | 30,00 |
| 17 | მფრქვევანა | ც | 950,00 | 80,00 |
| 18 | ფრეონი  (100გრ) | 100გრ | | 25,00 |
| 19 | გენერატორის ღვედი | ც | 33,00 | 27,00 |
| 20 | გენერატორის ღვედის დამჭიმი | ც | 90,00 | 50,00 |
| 21 | გენერატორის ღვედის ამყოლი გორგოლაჭი | ც | 45,00 | 100,00 |
| 22 | შემრფქვევის საყელური (მანჟეტი) | ც | 2,00 | 90,00 |
| 23 | შემშვები კოლექტორი | ც | 850,00 | 650,00 |
| 24 | ცხელი კოლექტორის საფენი | ც | 25,00 | 650,00 |
| 25 | ძრავის  ბალიში  წინა | ც | 80,00 | 80,00 |
| 26 | ძრავის კბილანური ღვედის რემ.კომპლექტი | ც | 350,00 | 320,00 |
| 27 | ძრავის ტურბო | ც | 2 600,00 | 300,00 |
| 28 | ძრავის ტურბოს რადიატორი | ც | 500,00 | 180,00 |
| 29 | ძრავის უკანა ჩობალი | ც | 175,00 | 400,00 |
| 30 | ძრავის ჩობალი წინა | ც | 25,00 | 400,00 |
| 31 | ძრავის ხუფის საფენი | ც | 45,00 | 150,00 |
| 32 | წყლის გამანაწილებელი ავზი | ც | 115,00 | 50,00 |
| 33 | წყლის რადიატორი | ც | 700,00 | 180,00 |
| 34 | წყლის ტემპერატურის სენსორი კომპლექტი | ც | 130,00 | 45,00 |
| 35 | წყლის ტუმბო | ც | 140,00 | 220,00 |
| 36 | ჰიდრავლიკის ტუმბო | ც | 1 200,00 | 80,00 |
| **გადაცემათა კოლოფი** | | | | |
| 1 | გადაბმულობა კომპლექტში | კომპ | 710,00 | 360,00 |
| 2 | გადაბმულობის საკისარი (ვიჟიმნოი) | ც | 120,00 | |
| 3 | მქნევარა | ც | 1 400,00 | |
| **ელექტროობა** | | | | |
| 1 | ჰალოგენის ნათურა | ც | 10,00 | 10,00 |
| 2 | გაბარიტის ნათურა | ც | 3,00 | 10,00 |
| 3 | სალონის ფეჩის ჰაერის მიმმართველის ელ ძრავი | ც | 800,00 | 250,00 |
| 4 | ძრავის მართვის ბლოკი | ც | 4 600,00 | 650,00 |
| 5 | ჰაერმზომი | ც | 230,00 | 35,00 |
| 6 | დროსელი | ც | 750,00 | 65,00 |
| 7 | სტარტერი | ც | 490,00 | 65,00 |
| 8 | დიზელის გამახურებელი სანთელი | ც | 25,00 | 30,00 |
| 9 | რასპრედვალის ამთვლელი სენსორი | ც | 60,00 | 42,00 |
| 10 | აკუმულატორი (100-110 ა/ს, გერმანული) | ც | | |
| 11 | საწვავის ტუმბო | ც | 3 300,00 | 200,00 |
| 12 | საწვავის დონის მაჩვენებელი | კომპ | 250,00 | 200,00 |

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D.AGHMASHENEBELI ALLEY,
0131 TBILISI, GEORGIA. ID: 202177205
გაყიდვების დეპარტამენტი
SALES DEPARTMENT

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13 | ABS სენსორი | ც | 100,00 | 25,00 |
| 14 | მცველი | ც | 2,00 | 2,00 |
| 15 | წინა ფარი | ც | 620,00 | 45,00 |
| 16 | გვერდითა მოხვევის მაჩვენებელი | ც | 23,00 | 15,00 |
| 17 | უკანა სტოპი | ც | 200,00 | 45,00 |
| 18 | მუხრუჭის ნათურა | ც | 3,00 | 10,00 |
| 19 | საქარე მინის საწმენდი მფრქვევანა | ც | 18,00 | 15,00 |
| 20 | წყლის გაგრილების ვინტილიატორი | ც | 1 950,00 | 80,00 |
| 21 | წყლის ავზის ელ. ძრავი | ც | 45,00 | 25,00 |
| 22 | ზეთის წნევის სენსორი | ც | 25,00 | 45,00 |
| 23 | წყლის ტემპერატურის სენსორი | ც | 30,00 | 45,00 |
| 24 | ელექტრონული მართვის ბლოკის პროგრამირება | ც | | 320,00 |
| 25 | დინამო | ც | 800,00 | 150,00 |
| მუხრუჭები | | | | |
| 1 | წინა ხუნდები | კომპ | 90,00 | 18,00 |
| 2 | უკანა ხუნდები | კომპ | 75,00 | 18,00 |
| 3 | სუპორტის კრონშტეინი წინა | ც | 350,00 | 15,00 |
| 4 | სუპორტის კრონშტეინი უკანა | ც | 180,00 | 15,00 |
| 5 | სუპორტი უკანა | ც | 600,00 | 25,00 |
| 6 | სუპორტი წინა | ც | 700,00 | 25,00 |
| 7 | მუხრუჭის ვაკუმი | ც | 850,00 | 60,00 |
| 8 | მუხრუჭის მთავარი ცილინდრი | ც | 850,00 | 70,00 |
| სალონი და ძარა | | | | |
| 1 | სალონის ფეჩის რადიატორი | ც | 220,00 | 300,00 |
| 2 | საბარგულის კარის ამორტიზატორი | ც | 85,00 | 25,00 |
| 3 | კარის საკეტის ტროსი | ც | 60,00 | 85,00 |
| 4 | მინის საწმენდი რეზინების კომპლექტი | კომპ | 25,00 | |
| საპოხი მასალა | | | | |
| 1 | ძრავის ზეთი 1 ლ.  5W40 | ლ | 17,00 | - |
| 2 | ძრავის ზეთი 1 ლ.  5W30 | ლ | 21,00 | - |
| 3 | ანტიფრიზი 1 ლიტრი | ლ | 10,00 | 29,00 |
| 4 | ჰალდექსის ზეთი  ლ. | ლ | 50,00 | 28,00 |
| 5 | სამუხრუჭე სითხე ლ. | ლ | 12,00 | 29,00 |
| 6 | საჭის ჰიდრავლიკური სისტემის ზეთი ლ. | ლ | 20,00 | 19,00 |
| 7 | საქარე მინის ყინვაგამძლე სითხე ლ. | ლ | 8,00 | |
| ფილტრები | | | | |
| 1 | ზეთის ფილტრი | ც | 20,00 | - |
| 2 | ჰაერის ფილტრი | ც | 30,00 | 15,00 |
| 3 | საწვავის ფილტრი | ც | 100,00 | 24,00 |
| 4 | კონდენციონერის ფილტრი | ც | 24,00 | 15,00 |
| ძარა | | | | |
| 1 | კარის ჩამკეტი მექანიზმი წინა | კომპ | 150,00 | - |
| 2 | მოძრავი კარის პეტლი | კომპ | 100,00 | |
| 3 | მოძრავი კარის ზედა პეტლი | კომპ | 100,00 | |
| 4 | მოძრავი კარის მარჯვენა პეტლი | კომპ | 100,00 | - |
| 5 | წინა ფრთისქვეშა საფარი | ც | 155,00 | - |
| 6 | სარკის შუშა | ც | 160,00 | - |
| ძრავის ნაწილები | | | | |
| 1 | კალენვალი | ც | 3 900,00 | 1 300,00 |
| 2 | სადები საზარბაცე | კომპ | 350,00 | 1 300,00 |
| 3 | სადები ძირითადი | კომპ | 200,00 | 1 800,00 |

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D.AGHMASHENEBELI ALLEY,
0131 TBILISI, GEORGIA. ID: 202177205
გაყიდვების დეპარტამენტი
SALES DEPARTMENT

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | დგუში | ც | 450,00 | 1 300,00 |
| 5 | დგუშის რგოლი | კომპ | 70,00 | 1 300,00 |
| 6 | ბარბაცა | ც | 680,00 | 1 300,00 |
| 7 | ბლოკი | ც | 11 000,00 | 1 300,00 |
| 8 | ძრავი კომპლ | კომპ | 32 000,00 | 1 300,00 |
| 9 | ძრავის თავაკი | კომპ | 5 100,00 | 650,00 |
| 10 | შემშვები სარქველი | ც | 70,00 | 1 300,00 |
| 11 | გამშვები სარქველი | ც | 70,00 | 1 300,00 |
| 12 | სარქვლის ჩობალი | ც | 2,00 | 1 300,00 |
| 13 | გამანაწილებელი ლილვი გამშვები | ც | 1 400,00 | 1 300,00 |
| 14 | გამანაწილებელი ლილვი შემშვები | ც | 1 400,00 | 1 300,00 |
| 15 | ძრავის თავაკი კომპლ | კომპ | 8 500,00 | 650,00 |
| სხვადასხვა | | | | |
| 1 | უკ.გვერდითა კარის როლიკის მ/დ | ცალი | | 20,00 |
| 2 | კარის როლიკის შეკეთება მილისების გაჩახვა | ცალი | | 50,00 |
| 3 | კომპიუტერული დიაგნოსტიკა | ცალი | | 42,50 |
| 4 | კატალიზატორის ტემპერატურის სენსორის მ/დ | ცალი | | 42,50 |
| 5 | თვლების შეყრის კორექტირება | ცალი | | 40,00 |
| 6 | ძრავში ჩატეხილი ამყოლი გორგოლაჭის სარჭის ამოღება | ცალი | | 150,00 |
| 7 | უკ.გვერდითა კარის როლიკის დადუღება/გამაგრება | ცალი | | 10,00 |
| 8 | გადაცემათა კოლოფის ზეთი | ლ | 22,00 | |
| 9 | ხამუთი ფოლადის 50x70 | ცალი | | |
| 10 | გამოხდილი წყალი | ლ | 1,00 | |
| 11 | წინა ბამპერის მ/დ | ცალი | | 80,00 |
| 12 | კალენვალის სენსორის ელ სადენების შემოწმება | ცალი | | 100,00 |
| 13 | კალენვალის სენსორის ელ სადენების აღდგენა | ცალი | | 30,00 |
| 14 | საპოხი 0,4kg | ცალი | 8,16 | |
| 15 | ძრავის ქვედა მისაფარის დამზადება დაყენებ | ცალი | | 70,00 |
| 16 | საბურავის მ/დ დ/ა ბალანსი | ცალი | | 11,00 |
| 17 | საბურავის შეკეთება | ცალი | | 10,00 |
| 18 | საკისარი VAG | ცალი | 20,00 | |
| 19 | ა/მ საკისარი | ცალი | 25,00 | |
| 20 | საწვავის ავზის მ/დ | ცალი | | 127,50 |
| 21 | კარდნის მ/დ | ცალი | | 80,00 |
| 22 | საჭის მექანიზმის მტვერდამცავი | ცალი | 60,00 | 15,00 |
| 23 | ხამუთი ფოლადის | ცალი | 2,20 | |
| 24 | ანთების გასაღების სამაგრი | ცალი | 110,00 | 30,00 |
| 25 | ფარის სხივის მიმართულების რეგულირება | ცალი | | 10,00 |
| 26 | პლასმასის ხამუთი | ცალი | 0,30 | |
| 27 | კონდიციონერის ფრეონის მილის აღდგენა | ცალი | | 50,00 |
| 28 | კონდეციონერის რადიატორის მ/დ | ცალი | | 55,00 |
| 29 | ტურბინის შემოწმება/შეკეთება | ცალი | | 650,00 |
| 30 | ძრავის თავაკის შემოწმება/რემონტი | ცალი | | 967,20 |
| 31 | წყლის რადიატორის აღდგენა | ცალი | | 63,75 |
| 32 | ძრავის სრული დ/ა | ცალი | | 1 020,00 |
| 33 | მაყუჩის ავზის შედუღება | ცალი | | 35,00 |
| 34 | საჭის მექანიზმის აღდგენა | ცალი | | 325,00 |
| 35 | სტარტერის ბენდექსი | ცალი | 150,00 | 50,00 |

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D.AGHMASHENEBELI ALLEY,
0131 TBILISI, GEORGIA. ID: 202177205
გაყიდვების დეპარტამენტი
SALES DEPARTMENT

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 36 | კარტერის დამცავის დამზადება/მორგება | ცალი | | 180,00 |
| 37 | დინამოს დ/ა რელეს შეცვლა | ცალი | | 70,00 |
| 38 | ფრეონის გაჟონვის შესამ.საღებავი | გრ | 1,00 | |
| 39 | გენერატორის რელე VW | ცალი | 220,00 | |
| 40 | საკისარი  6202 2RS1/C3; 15X35X11 MM | ცალი | 7,00 | |
| 41 | საკისარი 17x47x14 6303 | ცალი | 12,00 | |
| 42 | გადაბმულობის დაჰაერება | ცალი | | 50,00 |
| 43 | უკანა მც სუპორტის სამაგრის მ/დ | ცალი | | 10,00 |
| 44 | სამუხრუჭო ვაკუუმის მილის მ/დ | ცალი | | 20,00 |
| 45 | მუხრუჭის მილი | ცალი | 32,00 | |
| 46 | წინა სამუხრუჭე დისკების მოხეხვა | ცალი | | 25,00 |
| 47 | მუხრუჭის მილის (უჟანგავი ფოლადი)ელ. შედუ | ცალი | | 35,00 |
| 48 | წინა მარცხენა კარის მინის ამწ მექან შეკთ | ცალი | | 70,00 |
| 49 | ყუმბარის ღერძის სარემონტო კომპლექტი | კომპ | 430,00 | |
| 50 | გადაცემათა კოლოფის მ/დ | ცალი | | 350,00 |
| 51 | ყუმბარის ღერძის სარემონტო კომპლექტის შეცვლა | ცალი | | 150,00 |
| 52 | ხიდის ზეთი | ლ | 30,00 | |
| 53 | უკანა ხიდის ჩამრთველი ძრავის აღდგენა | ცალი | | 150,00 |
| 54 | წნ.მც. ფარის გაბარიტის სადენის შეკეთება | ცალი | | 15,00 |
| 55 | მუხრუჭის სისტემის მექანიკურად დაჰაერება | ცალი | | 20,00 |
| 56 | უკანა სტაბილიზატორის მ/დ | ცალი | | 30,00 |
| 57 | საბურავის მ/დ | ცალი | | 2,00 |
| 58 | საბურავის დ/ა | ცალი | | 3,00 |
| 59 | საბურავის ბალანსირება | ცალი | | 6,00 |
| 60 | უკანა ძელის მილისა | ცალი | 50,00 | 80,00 |
| 61 | გადაცემათა კოლოფის ჩობალი | ცალი | 30,00 | 250,00 |
| 62 | საწვავის წნევის სენსორის მ/დ | ცალი | | 127,50 |
| 63 | სათადარიგო საბურავის სამაგრის შედუღება | ცალი | | 30,00 |
| 64 | სათადარიგო საბ სამაგ ხრახნების აღდგენა | ცალი | | 30,00 |
| 65 | ხუნდის დამჭერი ზამბარა | ცალი | 60,00 | 10,00 |
| 66 | ანთების გასაღების ძირის შეკეთება | ცალი | | 30,00 |
| 67 | ჰიდრავლიკის ზეთის ავზი | ცალი | 180,00 | 20,00 |
| 68 | მაშუქებლის ელ სისტემის აღდგენა(მიგალკა) | ცალი | | 50,00 |
| 69 | საწვავის ტუმბოს ელ/სარქ.სადენის შეკეთება | ცალი | | 30,00 |
| 70 | მ/წნ. სენსორის ელ/სისტემის შეკეთება | ცალი | | 20,00 |
| 71 | ანთების გასაღების ბუდის მ/დ შეკეთება | ცალი | | 100,00 |
| 72 | სამუხრუჭე შლანგი წინა მჯ | ცალი | 60,00 | 20,00 |
| 73 | ტრავერსის სამაგ.კრონშტეინ.მოჭრა/დადუღება | ცალი | | 100,00 |
| 74 | ტრავერსის მ/დ | ცალი | | 160,00 |
| 75 | ციმციმას ელ სადენის აღდგენა | ცალი | | 40,00 |
| 76 | დაკიდების ბერკეტის სარჭი VW T5 | ცალი | 15,00 | |
| 77 | გვერდითა კარის საკისარი | ცალი | 15,00 | |
| 78 | შუქის ჩამრთველი | ცალი | 250,00 | 70,00 |
| 79 | გვერდითა კარის საკეტების მ/დ შეკეთება | ცალი | | 235,00 |
| 80 | გვერდითი კარის საკეტი | ცალი | 220,00 | 80,00 |
| 81 | ამთვლელი სენსორის ელ.სისტემის აღდგენა | ცალი | | 130,00 |
| 82 | ძრავის მართვის ელ.სისტემის შემოწ/შეკეთებ | ცალი | | 180,00 |
| 83 | ABS-ის ელ სისტემის აღდგენა | ცალი | | 90,00 |
| 84 | უკანა ბერკეტის სამაგრი საყელურების გაჩარხვა | ცალი | | 30,00 |
| 85 | ციმციმას ხუფის მ/დ სპიკერის დაყენება | ცალი | | 60,00 |
| 86 | კონდიციონერის ფრეონის მილის აღდგენა | ცალი | | 50,00 |
| 87 | გადაცემათა კოლოფის დ/ა | ცალი | | 400,00 |
| 88 | გად. კოლ. საკისარი  პირველი სიჩ. VW T5 | ცალი | 142,00 | |
| 89 | გადაცემათა კოლოფის საკისარი  VW T5 | ცალი | 116,00 | |
| 90 | გად. კოლოფ. საკისარი  მე 3/4 სიჩქ. VW T5 | ცალი | 70,00 | |
| 91 | გად. კოლოფ. საკისარი  მე 5/6 სიჩქ. VW T5 | ცალი | 90,00 | |

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
12 km, D.AGHMASHENEBELI ALLEY,
0131 TBILISI, GEORGIA. ID: 202177205
გაყიდვების დეპარტამენტი
SALES DEPARTMENT

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 92 | სინქრონიზატორის რგოლი VW T5 | ცალი | 140,00 | |
| 93 | რედუქტორის საკისარი VW T5 | ცალი | 200,00 | |
| 94 | გერმეტიკი წითელი | ცალი | 11,00 | |
| 95 | EGR-ის რადიატორის მოხსნა-დაყენება | ცალი | | 500,00 |
| 96 | დამატებითი წყლის პომპის სადენის აღდგენა | ცალი | | 30,00 |
| 97 | დამატებითი წყლის პომპის შტეკერის აღდგენა | ცალი | | 10,00 |
| 98 | კარდანის  აღდგენა | ცალი | | 1 110,00 |
| 99 | კონდიციონერის უკანა მილის მ/დ | ცალი | | 180,00 |
| 100 | მაყუჩის მ/დ | ცალი | | 300,00 |
| 101 | სავარძლის დადუღება | ცალი | | 20,00 |
| 102 | სალონის სანათი (დამატებითი განათება) | ცალი | 15,00 | 10,00 |
| 103 | სანომრე მაშუქის ელ.სისტემის შეკეთება | ცალი | | 40,00 |
| 104 | სანომრე ნიშნის ნათურის მ/დ | ცალი | | 5,00 |
| 105 | სტარტერის დ/ა | ცალი | | 50,00 |
| 106 | სუპორტის ამუშავება | ცალი | | 10,00 |
| 107 | სალონის სავარძლის სადგომის შედუღება | ცალი | | 100,00 |
| 108 | სავარძლის მოხსნა/დაყენება | | | 30,00 |
| 109 | საწვავის დაბალი წნევის ტუმბოს მ/დ | | | 130,00 |
| 110 | სტარტერის ნახშირების ბუდე  VW T5 | ცალი | 65,00 | |
| 111 | სტარტერის ნემსა საკისარი VW T5; 29X36 | ცალი | 10,40 | |
| 112 | საბურავის დისკის დადუღება | | | 15,00 |
| 113 | ხმოვანი სიგნალის ბლოკის ელ შემოწმება | | | 20,00 |
| 114 | დამატებითი წყლის ტუმბო VW T5 | ცალი | 392,00 | 70,00 |
| 115 | სპიკერის მ/დ დ/ა ელ სისტემის შეკეთება | | | 60,00 |
| 116 | წეროს აღდგენა | | | 80,00 |
| 117 | სათადარიგო საბურავის ბუდის აღდგენა ძარაზ | | | 100,00 |
| 118 | ჰაერის სისტემის ბოლით შემოწმება | | | 30,00 |
| 119 | EGR-ის სარქველის გაუქმება | | | 50,00 |
| 120 | დომკრატი  8 ტ. | ცალი | 50,00 | |
| 121 | ელ მცველების შემოწმება | | | 20,00 |
| 122 | ელექტრო სადენების შემოწმება | | | 50,00 |
| 123 | კონდენციონერის კომპრესორის აღდგენა | | | 310,00 |
| 124 | კონდეციონერის სისტემის გამორეცხვა | | | 430,00 |
| 125 | კონდიციონერის გამშრობი ფილტრი VW T5 | ცალი | 140,00 | |
| 126 | კონდიციონერის მილი | მ | 60,00 | |
| 127 | პიპკა მსუბუქი საბ. TR413 | ცალი | | |
| 128 | პრესპილზა | ცალი | 18,00 | |
| 129 | საბ.თვითმწები საკერებელი  116TL | ცალი | | |
| 130 | საწვავის ტუმბოს ელ სადენების აღდგენა | | | 180,00 |
| 131 | უკანა ხიდის (რედუქტორის)კოჟუხის შედუღება | | | 60,00 |
| 132 | უკანა ხიდის (რედუქტორის) მ/დ | | | 250,00 |
| 133 | უნივერს. საკერებელი UP6 (ლოგოს გარეშე) | ცალი | 0,53 | |
| 134 | შიგნითა სკამის დადუღება | | | 40,00 |
| 135 | ძრავის ნიშნულების გასწორება | | | 76,50 |
| 136 | გაგრ.ვენტილატორის ელ სისტ.შეკეთება აღდგენა | ცალი | | 80,00 |
| 137 | მფრქვევანების შემოწმება | ცალი | | 30,00 |
| 138 | ელ.სადენების შემოწმება | ცალი | | 102,00 |
| 139 | სალონის ნათურა | ცალი | | 10,00 |
| 140 | ტრავერსის სამაგრის სარჭის დამზადება | ცალი | | 30,00 |
| 141 | მილისას საყელური | ცალი | 14,80 | |
| 142 | საწვავის მაგისტრალის მ/დ | ცალი | | 127,50 |
| 143 | კონდინციონერის კომპრესორის შკივი | ცალი | 550,00 | 100,00 |
| 144 | საჭის ჰიდროგამაზლიერებელი მილის დამზადება | ცალი | | 40,00 |
| 145 | საჭის ჰიდროგამაზლიერებელი მილის მ/დ | ცალი | | 30,00 |
| 146 | მ/წნ შლანგი | ცალი | 10,60 | |
| 147 | ქურო 2sn - 12 | ცალი | 1,70 | |

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D.AGHMASHENEBELI ALLEY,
0131 TBILISI, GEORGIA. ID: 202177205
გაყიდვების დეპარტამენტი
SALES DEPARTMENT

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 148 | კარტერის არგონით დადუღება | ცალი | | 160,00 |
| 149 | გადაცემათა კოლოფის სამაგრის სარჭი | ცალი | 17,00 | |
| 150 | საჭის შლეიფის აღდგენა | ცალი | | 100 |
| 151 | საჭის კუთხის სენსორის შემოწმება/გასწორება | ცალი | | 90 |
| 152 | უკანა სტაბილიზატორის კრონშტეინი | ცალი | 65 | 10 |
| | | | **122 092,89** | **45 297,95** |

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D.AGHMASHENEBELI ALLEY,
0131 TBILISI, GEORGIA. ID: 202177205
გაყიდვების დეპარტამენტი
SALES DEPARTMENT